

## „ბედნიერება არის რამხელა“

ქართული კაზმულსიტყვაობა რომ ძველი და დიდი ტრადიციებით იწონებს თავს – ეს არავისთვის არის საიდუმლო – მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ისტორიის ერთი თავისებურება ქართულ მწერლობას და მთელ ქართულ კულტურასაც თვალშისაცემ დადს ასვამს:

ათასწლეულების განმავლობაში ქართული სოციალური ინფრასტრუქტურა პერიოდულად ნადგურდებოდა და ისევ ღორძინდებოდა. შესაბამისად კულტურის განვითარების პირობებიც ქრებოდა და ხელახლა წარმოიქმნებოდა, რამაც ქართულ მწერლობას უწყვეტი შინაგანი ზრდის შესაძლებლობა მოუსპო, ის სპონტანურად ვითარდებოდა. ნგრევისა და აღმშენებლობის პერიოდები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, მწერლობა კი თავის განახლებულ საქმიანობას არც ნულიდან იწყებდა და არც წინა, ჩამოვლილი საფეხურიდან აგრძელებდა: *ლიტერატურული ცხოვრების ყოველ ახალ გამოცოცხლებას სრულიად ახლებური ელფერი დაჰკრავდა და იმ ქვეყნების კულტურის და ლიტერატურულ მოდათა გავლენის დაღი აჩნდა, რომლის სატელიტიც აღმოჩნდებოდა ხოლმე თავისი პოლიტიკური ისტორიის ოღრო-ჩოღროებზე მავალი საქართველო.*

ამის დასტურია ისიც, რომ უახლოესი ისტორიის ჩვენი კულტურული მონაპოვრები უპირატესად რუსული ნიშნით არის აღბეჭდილი, რაც ქართული მწერლობის ბედზე დაფიქრებულ ადამიანს რუსული კულტურის ერთი თავისებურების გააზრების აუცილებლობის წინაშე აყენებს.

რუსული კულტურის ისტორიისათვის კარდინალური მნიშვნელობის ფაქტი იყო 1762 წლის ცნობილი მანიფესტი, რომლის ძალითაც თავადაზნაურობა სახელმწიფო სამსახურისაგან განთავისუფლდა. წარმოიქმნა უზრუნველი სოციალური კასტა, რომლის ერთმა ნაწილმა ხელი ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო, ოღონდ მათი ეს არჩევანი მარტოოდენ მუშების მსახურების წადილს არ გამოუწვევია: დესპოტურ რუსულ სახელმწიფოში პოლიტიკური ოპოზიციონერობის სხვა საშუალება, თუ არა ირიბი (მწერლობა, თეატრი), ვერ იარსებებდა და არც არსებულა. ეს ირიბი საშუალებები კი საკმაოდ ქმედითი იარაღი გამოდგა. ტყუილად როდი მიიჩნია იმპერატრიცა ეკატერინამ რადიშჩევი (ერთ-ერთი პირველი რუსი ლიტერატორთაგანი) პუგაჩოვზე საშიშ მოჯანყედ და ცხრაგზის ჩამოსახრჩობად.

მოგვიანებით ამ უზრუნველი სოციალური კასტიდან ყბადაღებული რუსული „ინტელიგენცია“ ჩამოყალიბდა. ეს იყო საზოგადოებრივი იდეალების მსახურთა მთელი არმია, რომელსაც სამართლიანად მიეწერება რუსეთის პოლიტიკური კატასტროფების მთავარი ინიციატორის სახელი. სწორედ ამ „ინტელიგენციამ“ დააკომპლექტა პოლიტიკურ პარტიათა ელიტა და განსაზღვრა მათი მიზნები.

სოციალ-დემოკრატთა (და არა მარტო სოციალ-დემოკრატთა) თავადაზნაურული წარმომავლობა საყოველთაოდ არის ცნობილი. ევროპული ქვეყნების პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით ისინი არ იბრძოდნენ თავიანთი კლასის ან სხვა

რომელიმე სოციალური ჯგუფის ინტერესებისათვის, არამედ - სოციალური და კლასობრივი იდეალებისათვის და ამ აზრით იდეალისტები, უფრო დაზუსტებით, პოლიტიკური მორალისტები იყვნენ. მორალიზმი და იდეალიზმი იყო სწორედ რუსული ინტელიგენციის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისება და ამან პოლიტიკის გარდა მწერლობაშიც იჩინა თავი.

ცხადია, იმას არ ვამტკიცებთ, თითქოს რუსული ლიტერატურის კორიფეები თავიანთ შედეგებში ამა თუ იმ მორალური იდეის შიშველ აგიტატორებად გვევლინებოდნენ. გენიალური შემოქმედები არანაირ რაციონალურ ჩარჩოებში არ ეტყვიან, მაგრამ მათი, როგორც მოქალაქეების და ხელოვნების მსახურთა მრწამსი მორალისტური, და თუ შეიძლება ითქვას, მოძღვრისეული ნიშნებით უხვად არის აღბეჭდილი, - მათი ნაწარმოებები, როგორც სამართლიანად ამბობენ ხოლმე, „მაღალიდევურია“. (რად ღირს, თუნდაც, ტოლსტოი-მოძღვარი და ტოლსტოველობა, როგორც სოციალური ფაქტი).

ინტელიგენციის სწორედ ეს „მაღალი იდეურობა“ გახდა იმის მიზეზი, რომ რუსული იმპერიის პოლიტიკური ევოლუცია იდეოკრატიული (იგივე სოციალისტური) დიქტატურით დასრულდა. **Salto mortale**-ც ამას ჰქვია: დესპოტიზმის, და საბოლოო ჯამში მონარქიზმის, წინააღმდეგ მებრძოლი ზემოხსენებული „ირიბი პოლიტიკური ოპოზიცია“ (ხელში აიღო რა რევოლუციის გზით ძალაუფლება) თვითონ გახდა უკიდურესად ტირანიული რეჟიმის მესვეური და მისივე იდეალების შესატყვისი სახელმწიფო წყობის მთავარი აგიტატორობაც თვითონვე იკისრა, ე.ი. ინტელიგენცია, ასე ვთქვათ, ორად გაიყო - პრაქტიკულ პოლიტიკოსებად და იმ კასტად, რომელიც კვლავინდებურად მუზეების მსახური დარჩა. ხელოვნების მსახურთა მთელი არმადა დადგა მათივე განაყოფების მიერ დაგეგმილი „ხუთწლეულების მხარდამხარ“. პარტიის და მთავრობის ხელშეწყობით ისინი მატრიოშკას პრინციპით ქმნიდნენ მწერალთა, კომპოზიტორთა და ა.შ. კავშირებს - დიდი „საბჭოთა კავშირის“ მიკროასლებს და ამ გზით უახლოვდებოდნენ, ერწყმოდნენ თანამოძმეებს ავადსახსენებელი 1937 წელი ერთნაირად შეეხე ინტელიგენციის ორივე ამ განშტოებას, რამაც დაადასტურა მათი სოციალური ნათესაობა. სხვა საკითხია, რომ რეპრესიებმა მაინცდამაინც მათი საუკეთესო ნაწილი შეიწირა...

საქართველოშიც იგივე ხდებოდა. 1801 წლის ანექსიის მერე რუსულმა მმართველობამ ქართველ თავადაზნაურთა სოციალური ინსტიტუტი გააუქმა, მოშალა სათავადოების სისტემა და „პოიმეშიკობა“ დააწესა. შედეგად ქართული თავადაზნაურობა სოციალური და კლასობრივი ფუნქციით რუსულს გაუიგივდა. კულტურის და ლიტერატურის სფეროშიც, ცხადია, რუსულის ანალოგიური პროცესები განვითარდა - ქართველი მწერლებიც რუსი „ინტელიგენტებით“ დადგნენ ხუთწლეულების და პარტიის მხარდამხარ. იმის საილუსტრაციოდ, რომ ნათქვამი მართო რენეგატ, პარტიის და მთავრობის მიერ მწერლობაში „გაწვეულ“ აქტივისტებს არ ეხება და საყოველთაო მოვლენას ასახავს, თუნდაც გალაკტიონს დავიმოწმებთ:

„დავლით ჩვენ იმ კარგი დროის შესანდობარი,  
ოდეს პოეტი იყო არა მართო პოეტი,  
პოეტი იყო ბედუინი და მეომარი,

პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი.“

კარგი ყოფილა დროება, როცა პოეტი სახელმწიფო მოხელის ფუნქციასაც იშნოვებდა, „მოსამართლე“ იყო, - „მეომარი“. პოლიტიკური ბელადი და სარდალი (როგორც წესი, პოეტიც რომ არის ხოლმე; გავიხსენოთ „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“...) და პოეტი, რომელიც „იყო... მეომარი“, ის ურთიერთსაპირისპირო ფენომენებია, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევიან. ციტირებული სტრიქონის ემოციური შინაარსი თუ დიქტატურის არა, განათლებული მინარქიის ნოსტალგია მაინცაა (აბა საქართველოს ჰყავდა თუ ჰყავდა მოპოეტო-მეფეები). ეს გალაკტიონთან, სხვებზე კი რაღა უნდა ვთქვათ: თვით მოდისიდენტო შეფერილობის ქართველი პოეტებიც კი არსებული პოლიტიკური რეჟიმისადმი შინაგანად ლოიალურად იყვნენ განწყობილი:

„ეს სინამდვილე ვის არ აღელვებს  
(საღად აზროვნებს უკეთუ იგი),  
ბედნიერება არის რამხელა,  
თავისუფლება  
რომაა ფიქრის!“

წერდა ბოლო დროის ქართული პატრიოტული ლირიკის მამამთავარი, მუხრან მაჭავარიანი, მაგრამ არსებული პოლიტიკური წყობისადმი მისი ამ ირონიის მიღმა რეჟიმის ნამდვილი არსის ვერშეცნობაც თვალსაჩინოა. სოციალისტური ტოტალიტარიზმი უპირატესად სწორედ ფიქრის თავისუფლებას კრძალავდა. ის იყო იდეოკრატია, იდეების დიქტატურა - ცენზურა არა მარტო ნაბეჭდ პროდუქტზე, არამედ ნაფიქრზეც. ფიქრობდა არსებითად მხოლოდ ერთი პერსონა - ვთქვათ, ჩერნენკო („გენიალურ“ სტალინზე რომ აღარ ვილაპარაკოთ), სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები კი მის პრინციპულ ნააზრევს აკონკრეტებდნენ; რაც შეეხება ხალხს, მათზე სახელმწიფო დაწესებულებებში შემუშავებული სააზროვნო სტერეოტიპების გავლენა, მართლაც, ტოტალური იყო. ასე რომ, ფიქრის თავისუფლებაზე - ნურას უკაცრავად! სხვათა შორის, იმათ, ვინც გაკადნიერდებოდა და ფიქრს გაბედავდა, დისიდენტი, ანუ სხვაგვარად მოაზროვნე ეწოდებოდა და ფსიქიატრიულში გამომწყვდევა გარანტირებული ჰქონდა. ისინი სწორედ იმიტომ ხეხდნენ საპატრიოტოების კედლებს, რომ დანარჩენი საბჭოელებისაგან განსხვავებით, მართლაც მოაზროვნეები იყვნენ. ცხადია, ლაპარაკია არა აზროვნების ფსიქიკურ ფაქტზე, არამედ ნააზრევის სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსზე.

სამწუხაროდ არც ერთი ქართველი პოეტი მათ რიგებს არ ამშვენებს. „ფიქრის თავისუფლების“ ბედნიერი ვაკუუმი ქართულმა საბჭოთა პოეზიამ ვერ შეავსო. მიზეზი სწორედ ის გახლავთ, რომ იდეურობა (სულ ერთია, რა ჯურის) და მორალიზმი წინა თაობის ქართველ ლიტერატორთა თითქმის საყოველთაო ესთეტიკური მრწამსად დარჩა. თუ რა გამოდის აქედან, ეს რუსული ისტორიის ზემოხსენებული მაგალითის თანახმად უკვე კლასიკურ გამოცდილებად არის ქცეული. ამ თაობის ლიტერატორთა შორის არიან ნიჭიერებიც და უნიჭოებიც, ოსტატებიც და ხელოსნებიც, მაგრამ თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ერთიან, უკვე განვლილ ეტაპს ქმნიან ქართულ მწერლობაში. ისინი, ვისი მწერლური აკმეც რუსულ-საბჭოურ ატმოსფეროში მიიღწა, უკვე თვისობრივად გამოირჩევიან იმათაგან, ვისი მწერლური სრულყოფა აწმყოში ან სამომავლოდ არის საგულვებელი.. ამ უკანასკნელთ ერთი

მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნიათ - რეფლექსია წინა თაობის მწერლურ და მოქალაქეობრივ პოზიციაზე, რეფლექსია განვლილ ეპოქაზე, რადგან იცლებება ჩვენში სწორედ ეპოქა და არა მარტო თაობები.

ახალი თაობის ლიტერატორთა გატაცებას, ვთქვათ, პოსტმოდერნიზმით, უმრავლეს შემთხვევაში, ამ ჟანრის უმწიფარი, დაბალხარისხოვანი ნიმუშების მეტი ჯერ არარფერი შემოუთავაზებია, მაგრამ განახლებული ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრების მცდელობაც დასაფასებელია, ხდება მწერლობის დეპოლიტიზაცია და დემორალიზაცია (პოლიტიკური მოარალიზმისაგან მისი განწმენდის აზრით) მწერლობის როლის და დანიშნულების გადააზრება. წარსულს, როცა „პოეტი“ იყო მოსამართლე და ერის მამა - უნდა გამოვეთხოვოთ. პოეტის სახელი და სტატუსი პოეტისათვის თვითკმარი უნდა იყოს. პოეტი არ შეიძლება იყოს ჩინოვნიკი - თუნდაც ირიბად, მწერალთა კავშირის ადმინისტრაციის მაღალი ეშელონების მესვეურის სახით - მით უმეტეს არ შეიძლება იყოს ის მოსამართლე - ბედუინი, კიდეც ჰო.

რალაც მემკვიდრეობა, წარსულის მონაპოვარი, ცხადია, შენარჩუნდება, მაგრამ თავისუფლება (და შესაბამისად „ბედნიერებაც“) მწერლობაში სწორედ წარსულის დრომოჭმულ იდეურ სტერეოტიპებთან და ყველგასულ ესთეტურ პრინციპებთან გამოთხოვებით იწყება.

## ავთანდილ ჯოხაძე